GIU № 01-01/35

11/07/2024

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს რექტორის
ბრძანება № 01-01/35

თბილისი **“11“ ივლისი, 2024 წ.**

შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N10/ნ ბრძანების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის, უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, სამართლის და პოლიტიკის სკოლის და ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანების წარდგინებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ში , სამართლის და პოლიტიკის და ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლებში სტუდენტთა შიდა მობილობის განხორციელების მიზნით გამოცხადდეს ვაკანტური ადგილები შემდეგი რაოდენობითა და მიმართულებებით:

ა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	სკოლა
1	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, მარკეტინგი)	10	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
2	ტურიზმი	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
3	ჟურნალისტიკა	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
4	ფსიქოლოგია	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
5	სამართალი	5	სამართლის და პოლიტიკის

ბ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	სკოლა
1	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
2	მასობრივი კომუნიკაცია	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
3	სოციალური ფსიქოლოგია	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
4	სისხლის სამართალი	3	სამართლის და პოლიტიკის
5	კერძო სამართალი	3	სამართლის და პოლიტიკის

2. განისაზღვროს 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:
3. დოკუმენტების მიღება და სასწავლო კურსების თავსებადობის დადგენისათვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

- 02 სექტემბრიდან 06 სექტემბრის ჩათვლით;

4. შიდა მობილობის წესით, ჩასარიცხი პირების შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2024 წლის 01 ოქტომბრისა;
5. განისაზღვროს, შიდა მობილობის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება რექტორის სახელზე;
- ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან (დამოწმებული ბეჭდით და სკოლის დეკანის ხელმოწერით);
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

6. შიდა მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარების ადმინისტრირება დაევალოს ვიცე-რექტორს სასწავლო პროცესის მიმართულებით, კრედიტების აღიარების პროცესის კოორდინირება დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით;
7. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შიდა მობილობის შესახებ ინფორმაციის განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურს;
8. უნივერსიტეტის კანცელარიას ეთხოვოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა სკოლების დეკანებისა და სასწავლო პროცესის მიმართულებით ვიცე-რექტორისთვის;
9.ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი
ჯიუ,
რექტორი,
პროფესორი
გიორგი მათიაშვლი

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
კანცლერი
ელისაშვილი ელისო